„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი ● №9 ● 1-15 (9457) ● მაისი ● 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ფაშიზმზე გამარჯვების დღე სენაკში

ჩვენს ქალაქში, ფაშიზმზე გამარჯვების დღე, ტრადიციულად, მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული ალექსანდრე წურწუმიას ძეგლის შემკობით დაიწყო, სადაც დილიდან ომის ვეტერანები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბალათურიასთან, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ინგა ქარდავასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ალექსანდრე წურწუმიას ძეგლი გვირგვინით შეამკო. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა იქ მყოფთ ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა და აღნიშნა: „9 მაისი გამარჯვებისა და გმირების წინაშე ქედის მოხრის დღეა. ამ სასტიკ ომში საქართველომ 700 ათასი ქართველი გაგზავნა და აქედან, შინ მხოლოდ 300 ათასი დაბრუნდა, პროცენტულად ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო. მომავალი თაობა უნდა გაუფრთხილდეს თანამედროვეობის გამორჩეული გმირების სახელს და ხსოვნას. კიდევ ერთხელ გილოცავთ და ქედს ვიხრი თქვენი გმირობის, თავგანწირვის წინაშე." აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, ჩვენს უხუცეს ვეტერანებს - მიხეილ აბშილავას, ჭიჭიკო სიჭინავას, აგრაფინა ხუხიას - ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი დახმარების სახით 500-500 ლარი გადაეცათ. მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გმირის ძეგლთან მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებული მხატვრული კომპოზიცია გაიმართა. მთელი დღის

მანძილზე, საჯარო ბიბლიოთეკა, მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი გამოფენით, მნახველებს მასპინძლობდა.

თბილი და მოკრძალებული ღონისძიებებით სენაკის მუნიციპალიტეტი კიდევ ერთხელ მიაგებს პატივს მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს.

სენაკელი მოზარდები ალექსანდრე მოწერელიამ მოინახულა

სახელმწიფო რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ალექსანდრე მოწერელიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სენაკის ბავშვთა საავადმყოფოში, მეორე საჯარო სკოლიდან ინტოქსიკაციით გადაყვანილი მოზარდები მოინახულა. 10 მაისს დილიდანვე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ და შემდეგ, საავადმყოფოში დროულად გადაყვანილი მოსწავლეები მოინახულეს საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბალათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა დარეჯან ზარანდიამ. „ბავშვთა საავადმყოფოში 24-მდე

მოზარდი ინტოქსიკაციის ნიშნებით იქნა შემოყვანილი. მათგან, ამ ეტაპზე, აქ მხოლოდ ერთი მოზარდი რჩება.

ბავშვების შემოყვანისთანავე, ზუგდიდიდან ექიმ-ტოქსიკოლოგი ოპერატიულად იქნა გამოძახებული. პაციენტებს ყველა საჭირო გამოკვლევა ჩაუტარდათ" - აღნიშნა შპს „სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს" მთავარმა ექიმმა ლუარა დგებუაძემ. ამ დროისთვის, ბავშვთა საავადმყოფოში მყოფი მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და დაკვირვების ქვეშ იმყოფება, სხვა პაციენტებმა საავადმყოფო უკვე დატოვეს. თუ რა გახდა ბავშვების მოწამვლის მიზეზი, დაუდგენელია. ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება დაწყებულია.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

გორის ქალთა კამერული გუნდი სენაკში

საოცარი ჰანგებით აღსავსე დღე

დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ჩვენს ქალაქს არაერთი საინტერესო და შინაარსობრივად დატვირთული დღე ახსოვს. განსაკუთრებით ღირსსახსოვარი იყო 2 მაისი. სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გორის ქალთა კამერულმა გუნდმა შთამბეჭდავი საღამო გამართა.

ღონისძიების იდეა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის დირექტორს **ვეფხვია ვეფხვაძეს** და გორის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელს **თეონა ცირამუას** ეკუთვნით. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ გუნდის ხელმძღვანელი და წევრები შემოთავაზებას სიამოვნებით დაეთანხმნენ და სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს. დამსწრე საზოგადოებას ლამაზი საღამო აჩუქეს ყოველგვარი მატერიალური დაინტერესების გარეშე. ღონისძიებას მხარდაჭერას უწევდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერია.

ლექცია –კონცერტის დაწყებამდე კამერული გუნდის წევრებმა, ხელმძღვანელმა, ქართული საოპერო ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სენაკის საპატიო მოქალაქემ, ამზორ შომახიამ , მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბალათურიასთან, ხელოვნების ცენტრის დირექტორთან ვეფხვია ვეფხვაძესთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის წარმომადგენლებთან ერთად თეატრში მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები დაათვალიერეს.

დაგეგმილი ლექცია-კონცერტი სამუსიკო სკოლაში 17 საათზე დაიწყო.

საზოგადოებას მიესალმა ხელოვნების ცენტრის დირექტორი ვეფხვია ვეფხვაძე. მან მადლობა გადაუხადა გორის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელს თეონა ცირამუას, გუნდის წევრებს მობრძანებისათვის. აღნიშნა, რომ ეს დღე დიდად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას ხელოვნების ამ ულამაზესი და ურთულესი დარგით.

მსმენელს გორის ქალთა კამერული გუნდის მიღწევებსა და მსოფლიო აღიარებაზე ესაუბრა გორის ქალთა კამერული გუნდის კონსულტანტი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსეთის ნაციონალური პრემიის ლაურეატი, ოქროს ნიღბის მფლობელი, სენაკის საპატიო მოქალაქე, პროფესორი ანზორ შომახია.

მან გაიხსენა ცალკეული დეტალები ევროტურიდან, რომელიც ინგლისში მოღვაწე ქართველ მომღერალთან, ქეთი მელუასთან ერთად კამერულმა გუნდმა ევროპის ქალაქებში გამართა.

შემდეგ ბატონმა ანზორმა დამსწრეთ წარუდგინა გორის ქალთა კამერული გუნდი და მისი ხელმძღვანელი.


ჩემო საყვარელო სენაკელებო!

ანზორ შომახია

მრავალფეროვანი იყო ლექცია-კონცერტის რეპერტუარი: შესრულებულ იქნა: .„კირიე ელეისონ" - სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის საგალობელი; „სალუტ" – ფრანგული სიმღერა, ავტორი ტოტო კუტუნიო - დაიწერა ფრანგი მომღერლის ჯო დასენისათვის - არანჟირება თეონა ცირამუასი; თურქული ხალხური სიმღერა „უსკუდარა" - არანჟირება თეონა ცირამუასი; „ქორალი"

(გაგრძელება გვ. 2)

გორის ქალთა კამერული გუნდი სენაკში

საოცარი ჰანგებით აღსავსე დღე

(დასასრული)

- ავტორი იოსებ კეჭაღმაძე; „ეგზერსისი" - ვოკალის სავარჯიშო - იოსებ კეჭაღმაძე; „კეკელჯან" - ავტორი იოსებ კეჭაღმაძე; „სამ ვეა" - ავტორი ამერიკელი კომპოზიტორი არონ ჰარლენი - სიმღერა ჯუდი გარლანდის რეპერტუარიდან; „შიშნანი" - აფხაზური იავნანა - ხალხური - არანჟირება თეონა ცირამუასი; „ბანდურა" - უკრაინული ხალხური სიმღერა; აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეკოვის ოპერა „ქოროღლის" თემებზე -ჯემალ ბეგლარიშვილის ტრანსკრიფცია; „კუკარაჩა" - მექსიკური სიმღერა - არანჟირება თეონა ცირამუასი; ფრანგული სიმღერა „შემოდგომის ფოთლები" - ავტორი იოსიფ კოსმა; „სტრეინჯერს ინ დე ნაით" - ამერიკელი კომპოზიტორის ბერტ კემპსერტის სიმღერა; „შოშოლოზა" - აფრიკული სიმღერა - აფრიკული ჯემბეს თანხლებით - საკრავთან თეონა ცირამუა; „ლაშარის გზაზე" - ავტორი იოსებ კეჭაღმაძე; მეგრული სატრფიალო - „დღაშ დო სერს სკანოთ ფივქრენქ" - სიმღერა პოლიკარპე ხუბულავასი, - ლალი გოგიას ჩონგურის თანხლებით.

გვსურს მკითხველს მივაწოდოთ მოკლე ინფორმაცია გორის ქალთა გუნდის დაფუძნებისა და განვითარების ისტორიულ წიაღსვლებზე.

გორის ქალთა კამერული გუნდი შეიქმნა 1970 წელს გორის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. კაჭარავას თაოსნობით. გუნდის შემოქმედებითი სახე განსაზღვრა მისმა უცვლელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა შალვა მოსიძემ. გუნდმა წარმატებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და დიდი აღიარება ხვდა წილად. არის არაერთი კონკურსის

გამარჯვებული. უცხოელი სპეციალისტები გუნდს "მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ" მიიჩნევენ, ხოლო მის ხელმძღვანელს შალვა მოსიძეს "ბგერის ჯადოქარს" უწოდებდნენ («საბჭოთა ხელოვნება», 1974, №11. რ. წურწუმია).

გორის ქალთა კამერული გუნდის ამჟამინდელ სამხატვრო ხელმძღვანელს თეონა ცირამუას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია სადირიჟორო განხრით. ნიჭიერი ახალგაზრდა შალვა მოსიძემ წამოიყვანა გორში ქორმეისტერად. თავდაპირველად გუნდშიც მღეროდა და გარკვეულ კონცერტებზე დირიჟორობდა. შემდეგ მოხდა თაობათა ცვლა და 2013 წლიდან თეონამ გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი დაიკავა.

ახალ ხელმძღვანელს ახალი ხედვა ჰქონდა. მან ფაქტიურად ახლიდან ჩამოაყალიბა გუნდი. შეიცვალა რეპერტუარი. ქართველი კომპოზიტორების სიმღერებთან ერთად შეტანილ იქნა უცხოელი მუსიკოსების სიმღერები და კომპოზიციები.

თეონა თვლის, რომ საჭიროა ყველა გემოვნების მსმენელის გემოვნების გათვალისწინება, რეპერტუარში ქორეოგრაფიული ელემენტების შეტანა, ევროპული და სხვადასხვა ქვეყნების სიმღერებით გამრავალფეროვნება. თეონა გამოირჩევა მაღალი დისციპლინით, მომთხოვნელობით, ძალიან ბევრს მუშაობს. „როცა რამეს მოვისმენ, მინდა რაღაც ჩემებურად გავაკეთო", „რეპეტიციების დროს იბადება ახალი, რაც აქამდე არ ყოფილა", „როცა ახალ სიმღერებზე ვმუშაობ მავიწყდება ჩემი სახელი და გვარი"-ამბობს გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი.

თეონა ცირამუა თბილისში დაიბადა, მაგრამ მისი ფესვები სამეგრელოშია, ჩხოროწყუს რაიონში. მისი ბიოგრაფია გაჯერებულია დადებითი მომენტებით. არის ჩხოროწყუს და გორის საპატიო მოქალაქე. მრავალი სიგელის და მედლის მფლობელი, 2017 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოებულ იქნა ღირსების ორდენით. მედიასთან საუბარში თავიანთი აზრი დააფიქსირეს როგორც სტუმრებმა, ასევე მასპინძლებმა.

თამარ ილურიძე, გორის ქალთა კამერული გუნდის წევრი-მინდა დიდი კმაყოფილება და მოკრძალება გამოვხატო სენაკელებისადმი. საზოგადოებას ეტყობა, რომ კარგი მუსიკლური გემოვნება აქვს. ჩვენ პირველად არ ვართ ამ ქალაქში. ვიყავით ბატონ ანზორ შომახიას ვარსკვლავის გახსნაზე. პატივს ვცემ თქვენი კუთხის ტრადიციებს, სტუმარ -მასპინძლობის გასაოცარ უნარს. მადლობა ხელოვნების ცენტრის დირექტორს, პედაგოგებს, ჩემს ხელმძღვანელს, რადგანაც მოგვეცა საშუალება მეორედ მოვხვედრილიყავით ამ არაჩვეულებრივ ქალაქში.

რუსუდან მილიუტინი, სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის კოორდინატორი-თეონა ცირამუა არის არაჩვეულებრივი მუსიკოსი, უნიჭიერესი ადამიანი, მუსიკოსი, რომელსაც შეუძლია 25 კაციან გუნდში ერთდროულად ესმოდეს ყველა ხმა, შესრულების ხარისხი, რომ არაფერი ვთქვათ სიმღერის შინაარსის მხატვრულად აღქმასა და გადმოცემაზე...

აქვს გუნდის მომღერალთა შერჩევისას განსაკუთრებული ალღო, პრიორიტეტს ანიჭებს არა მხოლოდ მუსიკალურ განათლებას, არამედ ადამიანის მუსიკალურ ნიჭიერებას, რომელიც ხშირად განათლების გარეშეც შესანიშნავად შეიმჩნევა. გუნდის თითოეულ წევრთან მუშაობს ინდივიდუალურად, დღეში დაუღალავად 6-7 საათი. უკრავს ფორტეპიანოზე, გიტარაზე, სალამურზე...თვით აფრიკულ ჯემბეზეც...

კონცერტი იყო არაჩვეულებრივი, რომელმაც მოხიბლა და აღფრთოვანებაში მოიყვანა არა მარტო მუსიკოსები და მუსიკისმოყვარულები...ამ კონცერტმა დაგვანახა, რომ ადამიანის მუსიკალური შესაძლებლობები ამოუწურავია, ეს კონცერტი - მასტერკლასი მაგალითია, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი საქმე და როგორ თავდადებით უნდა იმუშაო, თუ გინდა რომ კარგ შედეგს მიაღწიო. გუნდი ცნობილია საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში და ყველგან ანშლაგია მათ კონცერტებზე და აღფრთოვანებული მაყურებლისა და მსმენელის ოვაციებით მთავრდება.

ამ კონცერტმა თავდადებული შრომის და საგუნდო ხელოვნების სხვადასხვა ხერხების გამოყენების ნამდვილად საუკეთესო მაგალითი აჩვენა სამუსიკო სკოლის პედაგოგებს და მოსწავლეებს. მაყურებლებს არ უნდოდათ დარბაზის დატოვება, ეს ყველაზე დიდი ჯილდოა ნამდვილი ხელოვანისათვის.

შემოქმედებითი კავშირები გორის ქალთა კამერულ გუნდთან და მის ხელმძღვანელთან, თეონა ცირამუასთან, ნამდვილად გაგრძელდება, მათი კონცერტისა და მასტერკლასის მოსმენა ნამდვილად დიდი ჯილდოა ყველა მუსიკოსისათვის და რა თქმა უნდა გუნდთან მუშაობის საუკეთესო





ნიმუშია.

თეონა ცირამუა და სამუსიკო სკოლის ფოლკლორის პედაგოგი ლალი გოგია რამდენიმე წელია, რაც მეგობრობენ. ლალი გოგია, როგორც აფხაზეთიდან დევნილი და სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის ფოლკლორისა და გიტარის ფაკულტეტის აღზრდილი - მაღალ დონეზე ფლობს აფხაზურ და ლაზურ ფოლკლორს და სიმღერებს. თეონას თხოვნით ლალიმ მას გაუზიარა რამდენიმე აფხაზური და ლაზური სიმღერა. გორის ქალთა კამერულმა გუნდმა შესანიშნავად შეასრულა აფხაზური სიმღერა „შიშნანი", რომელიც მათ გაუზიარა ლალი გოგიამ.

თეონა და ლალი კარგი მეგობრები არიან და ეს მეგობრობა აუცილებლად კარგი შემოქმედებითი ურთიერთობის საწინდარია. წარმატებებს ვუსურვებთ თეონას და ლალის და მათ შემოქმედებით მეგობრობას.

ია ოჩიგავა, მშობელი- დღე - სასწაული, სხვას ვერც დავარქმევ იმ სიხარულით, განცვიფრებით და საოცარი ჰანგებით სავსე დღეს, როცა ასე, ერთი ხელის გაწვდენაზე, თითოეული ჩვენთაგანისთვის ბოლომდე იწვოდა გორის ქალთა კამერული გუნდი და მისი საოცარი ხელმძღვანელი თეონა ცირამუა. მოსმენილი და გაგონილი როგორ არ მქონდა, მაგრამ ამ კონცერტმა სამუდამო კვალი დატოვა ჩემში და კიდევ უფრო მომერია გრძნობები, როცა ჩემმა შვილმა, კონცერტის ბოლოს მითხრა: „დე, მე დირიჟორი უნდა გავხდეო"...

მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა ყველას, კამერული გუნდის თითოეულ წევრს, ქალბატონ თეონას, ამ ღონისძიების ორგანიზატორებს, რომ აღდგომის დღეების სიხარული ამ საოცარი ჰანგებით კიდევ უფრო ჯადოსნური გახადეს.

ლექცია-კონცერტს მაღალი შეფასება მისცეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ბაღათურიამ, მოადგილემ კახა კუპრეიშვილმა, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილმა, ამავე სამსახურის სპეციალისტმა ირმა კუპრეიშვილმა, მერიის საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურის და მედიასაშუალებების ჟურნალისტებმა, ხელოვნების მუშაკებმა.

დარბაზში არ ცხრებოდა ოვაციები, მსმენელს უნდოდა კვლავაც გაგრძელებულიყო ჯადოსნური ჰანგები.

გვჯერა მომავალში თვისობრივად უფრო მაღალ რანგში გაგრძელდება სენაკის მუსიკალური საზოგადოების ურთიერთობა მაღალი რანგის პროფესიონალებთან.

გაზეთის რედკოლეგიის სახელით მადლობას ვუხდით ღონისძიების ორგანიზატორებს და მონაწილეებს. წარმატებები და ხალისიანი დღეები დაბედებოდეთ.

მოამზადეს მედეა ბაღათურიამ,
მაია გერგაიამ

,,კოლხეთი"-96
მუნიციპალიტეტის ჟამთაღმწერელი

ცნობილია, რომ 1923 წლის 1 მაისს გამოვიდა სენაკის რაიონული გაზეთის პირველი ნომერი. 1 მაისი ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობებით დატვირთული აღმოჩნდა. ამ დღეს მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა ლევან კუპრეიშვილმა მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში მიგვიწვია „კოლხეთის“ 96 წლისთავთან დაკავშირებით. ბატონმა მერმა შემოქმედებით კოლექტივს მოგვილოცა გაზეთის დაბადების დღე,- „"კოლხეთი“ მუდამ ერთგულად ასრულებდა

ჩვენი მუნიციპალიტეტის ჟამთაღმწერლის ფუნქციას. მშობლიური გაზეთის ასეთი სიცოცხლისუნარიანობა იშვიათი და დასაფასებელია. კოლხეთელებს ტრადიციების ახალგაზრდული შემართებით გაგრძელებას, პროფესიულ საქმიანობაში წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებ"-აღნიშნა მან. აგრეთვე დაინტერესდა გაზეთის 96 წლოვანი გზის სხვადასხვა ნიუანსებით. სიტყვით გამომსვლელებმა: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილმა, ამავე სამსახურის სპეციალისტმა ირმა კუპრეიშვილმა, ხაზი გაუსვეს რომ „კოლხეთი“ ერთადერთი გაზეთია, ათწლეულების მანძილზე ისტორიითა და კულტურული ტრადიციებით მდიდარი სენაკის ცხოვრებას რომ ასახავდა და შთამომავლობას უნიკალურ ინფორმაციას უნარჩუნებდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებმაც გაიხსენეს პროფესიონალიზმით გამორჩეული ღვაწლმოსილი ჟურნალისტები, რომლებიც დამწყებ ჟურნალისტებს თაობათა ცვლის პროცესში ასწავლიდნენ სარედაქციო საქმიანობის ნიუანსებს, ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვასა და ობიექტურ მასალათა მომზადებას. შეხვედრის ვიზუალური, შინაარსობრივი და ესთეტიკური მხარის უზრუნველყოფა განახორციელა ქალბატონმა მარი ფაღავამ. დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა ,,კოლხეთელებს" სამახსოვრო საჩუქრები გადმოგვცა.

ბატონო მერო, თვითმმართველობის წარმომადგენლებო, „კოლხეთის“ თანამდგომნო და გულშემატკივარნო, მკითხველნო! (კოლხეთის ფეისბუქ გვერდზე არა ერთი მილოცვა მივიღეთ) დიდი მადლობა თქვენი ყურადღებისა და დამოკიდებულებისათვის, გაზეთის ღირსებისა და ფუნქციის ხაზგასმისათვის.

ჩვენ, დღევანდელ შემოქმედებით ჯგუფს, გასიგრძეგანებული გვაქვს ჩვენი პასუხისმგებლობა, რადგან ვიცით , რომ 96 წლოვანი გზა მარტო არითმეტიკული წლოვანება არ გახლავთ, ამ წლებში დაუნჯებულია წინამორბედთა უზარმაზარი შრომა, ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი, ისტორია, ტრადიცია... ჩვენი გაზეთი მუნიციპალიტეტის ისტორიისათვის, მკვლევართათვის, დაინტერესებულ პირთათვის პირველწყაროა. მისი გაყვითლებული ფურცლები სენაკის უტყუარი მეხსიერებაა. უფრო მეტიც, „კოლხეთი“ რეგიონში უხუცესი გაზეთია. **საენციკლოპედიო მონაცემებით გაზეთი აბაშაში 1933, წალენჯიხაში 1932, ხობში 1932, ზუგდიდში 1930, ჩხოროწყუში 1933, მარტვილში 1932 წლებში დაარსებულა, მაშინ როდესაც სენაკში 1923 წ. 1 მაისს გამოვიდა ,,კოლხეთის" პირველი ნომერი „კომუნას“ სახელწოდებით.**

„ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას, ... რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ... კეთდება, მხნევდება, ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან“ (ი. ჭავჭავაძე). სენაკმაც უნდა იამაყოს და გაუფრთხილდეს თავის კულტურულ მემკვიდრეობას, რომელშიც სხვა მრავალთან მოისაზრება 128 წლოვანი სტამბა, ბიბლიოთეკა, თეატრი, სამუსიკო სკოლა, გაზეთი და ა.შ.

ახლა 21 საუკუნეა, სხვა გამოწვევებია ჩვენს წინაშე, ვცდილობთ დღევანდელობას ავუწყოთ ფეხი, რათა საკუთარი ნიშა არ დავკარგოთ. თქვენ კი, ჩვენო მეგობრებო, მხოლოდ ერთს გთხოვთ -- გაზეთზე ხელმოწერას, რადგან ამის გარეშე გაზეთის არსებობა შეუძლებელია.

მეგობრებო, დღეგრძელიყოს ჩვენი თანამშრომლობა!

ნინო სართანია

უცხოური პრესის ფურცლებზე
სტუმრად მეგობრებთან

მეგობრობა უკვდავია და ამის საუკეთესო დასტურია ფაქტი, რომელიც ჩვენ ვნახეთ და განვიცადეთ 2018 წლის ნოემბერში. სენაკში ჩამობრძანდა მწერალი, პუბლიცისტი, მხატვარი, ჟურნალისტი და სცენარისტი, ბატონი ალექსი ევტუშენკო მეუღლესთან, კინორეჟისორ ლუდმილა ევტუშენკოსთან ერთად. ჩამოსვლის მიზეზი და მიზანი თავიანთი დიდ ხნის უნახავი მეგობრის და მასწავლებლის, მხატვარ ნუკრი გერსამიასთან შეხვედრა იყო.

43 წლის წინ ბატონი ნუკრი სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა თურქმენეთის რესპუბლიკის ქ. კუშკაში, სადაც საჯარისო ფორმირების შტაბის უფროსი იყო, ბატონი ალექსის მამა, ანატოლი ევტუშენკო.

როდესაც ანატოლიმ გაიგო, რომ ნუკრი მხატვარია, სთხოვა მას მისი შვილისთვის ესწავლებინა ხატვის საიდუმლოებანი, რადგანაც ალექსი მიდრეკილებას იჩენდა ხატვისადმი. ეს ის პერიოდი იყო ალექსი სკოლას ამთავრებდა, ნუკრიც სიამოვნებით დათანხმდა.

ალექსი სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ქ. ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე. ნუკრი დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. მათი გზები გაიყარა.

ალექსი დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა მეგობარს, მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმი დაწესდა და ურთიერთობა დაიძაბა. თავდადებულმა ძებნამ შედეგი მაინც გამოიღო და სოციალური ქსელის მეშვეობით მეგობარი მაინც მოძებნა. როგორც კი გაიგო, რომ ნუკრი გერსამიას პერსონალური გამოფენა იმართებოდა, მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში დიდი ხნის უნახავ მეგობართან შესახვედრად.

მათ 5 დაუვიწყარი დღე გაატარეს საქართველოში. მეგზურობას უწევდა ნუკრი, რომელიც შეეცადა სტუმრებისთვის ეჩვენებინა ყველა ისტორიული ძეგლი, რომელიც განთავსებულია დასავლეთ საქართველოში, მოეთხრო ის ისტორია, რომელიც გაიარა ქვეყანამ ამ დრომდე. ,,საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა..., - და საერთოდ უძველესი ერია დედამიწის ზურგზე"... ეს იყო მთავარი ლეიტმოტივი ნუკრი გერსამიას მონათხრობში.

მოსკოვში დაბრუნებულმა ალექსი ევტუშენკომ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ ,,ОРАКУЛ "-ში სათაურით ,,საქართველოს გულში". ის დაწვრილებით აღწერს საქართველოში ნახულს და გაგონილს, უზიარებს მკითხველს თავის შთაბეჭდილებებს საქართველოში მოგზაურობაზე. დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს სამეგრელოს, ნოქალაქევს, მის ისტორიულ დანიშნულებას, შხეფისა და რუხის ციხეებს, დადიანების სასახლეს, თეკლათის დედათა მონასტერს, მდინარე ტეხურს, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესოს და განუმეორებელს უწოდებს თავისი ზურმუხტისფერით, ბაგრატის და გელათის ტაძრებს, სათაფლიას.

გამოფენაზე ალექსი ევტუშენკო შეხვდა ცნობილ მხატვარს და მწერალს რეზო ადამიას, რომელზეც წერს თავის წერილში: ბატონი რეზო ცდილობდა ღრმად ჩამეხედა ქვეყნის ისტორიულ სიღრმეებში. შესანიშნავი იუმორით ცდილობდა მძიმედ სათქმელი სიტყვები უფრო მსუბუქად მოეწოდებინა ჩემთვის. ჩემს კითხვაზე თუ რატომ დახოცა მედეამ შვილები, ბატონმა რეზომ აღელვებით მიპასუხა:- ,,მედეა კოლხი ქალბატონი გახლდათ, ხოლო მეგრელი ქალი ამას არასდროს ჩაიდენდა. ეს ბრალდება ბერძენმა ისტორიკოსმა განგებ შეთხზა, რათა გაემართლებინა უზნეო და ყაჩაღი იაზონის საქციელი, რომელმაც მეორე ცოლი შეირთო, ხოლო მედეამ, ვითომ გაბრაზებულმა ასე იძია შური, შვილები დაუხოცა იაზონს..

,,ძალიან ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ბევრი რამ ვერ გამაკვირვებს, მაგრამ თქვენმა გალერეამ აღმაფრთოვანა და ვიტყვი, რომ ეს შენობა, როგორც არქიტექტორული თვალსაზრისით, ასევე დანიშნულებით შეუდარებელია"-წერს ევტუშენკო. ის განსაკუთრებულ ხაზს უსვამს სტატიაში ქართულ სტუმართმოყვარეობას და ქართულ სამზარეულოს. განსაკუთრებით მოსწონს ხინკალი, ხოლო საცივს ღვთაებრივ პროდუქტს უწოდებს..

,,მე და ჩემი მეუღლე ლუდმილა ვერასოდეს დავივიწყებთ საქართველოს, ჩვენს ძვირფას მეგობრებს, ჩვენს ნუკრის. როგორც კი დროს გამოვნახავთ აუცილებლად ჩამოვალთ თქვენთან"-ამ სიტყვებით დაგვემშვიდობნენ ჩვენი სტუმრები.

წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ ალექსის და ქალბატონ ლუდმილას.

ლერი კართხია,
სენაკის სახვითი ხელოვნების
გალერიის სპეციალისტი

რეზი ადამია

გოდება და ვედრება ყოველთა

ვარსკვლავეთური სამყაროს ჭეშმარიტად მოაზროვნე, ქრისტიანული ზეჰუმანური რელიგიის უფლისეული სიახლე მისიით, მაცხოვრის ოთხი თავდადებული მოსწავლე ერთდროულად დედამიწის არც ერთ ქვეყანას არ ხლება: ამ სახის მოციქულეობრივი მოვლენა მთელს საქრისტიანოში მართლაც რომ იშვიათობაა. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში დიდი და მრავალსარწმუნოებრივი ისრაელიდან, სამარადისოდ აღმდგარი იესოს ღვთიური მითითებით ყოველმხრივ დარწმუნებულნი და წინასწარმეტყველურად უძველეს კოლხეთს გულითადი და სულიერი ნდობით მხსნელად გამოეცხადნენ (სამშობლოდან განდევნილები კოლხეთ-იბერიაში ღვიძლ შვილებად გრძნობდნენ თავს). ღვთისგან განმანათლებლად მოვლენილებმა, შორეული წარსულის ლეგენდარულ მიწაზე თითოეულად უვნებლად და დამოუკიდებლად თავისუფლად იქადაგეს და წმიდად აღვლენილებმა საღვთო წერილი შეუფერხებლად უწყვეტ ქმნად განავრცეს. ღვთისგან მოწოდებულნი ეკლესიათა აღმართვის და ხატის შექმნის ხელოვნებით განაფეს კოლხები, ძირძველი საქართველო, უფალ იესო ქრისტეს სარწმუნოებაზე სამუდამოდ დაამკვიდრეს. წარმართობისმიერი უმძიმესი კანონცხოვრებისგან გაწამებულმა ხალხმა მდუმარე შინაგანი სწრაფვა ზეიმით მიიღო ქრისტიანობა და ბნელეთურ-მწვალებლური სარწმუნოება ბრძნული და გმირული შემართებით იმავდროულად უარყოფილ იქნა. ქალაქიდუმალ აიას, ჭყონდიდის, აკადემიად წარდგენილი ფაზისის, დიოსკურიის, პეტრას არქეოპოლისის, ბიჭვინთის, საკულტო ადგილმშვენება ვანის და მრავალი უმნიშვნელოვანესი ქალაქისა თუ სოფლის კერპთაყვანისმცემლობა სამუდამოდ გაუქმდა. და, განგებ შერჩეულ, არქაულ ულამაზეს ვარდისფერ-მოცისფრო, უხსოვარდროინდელ ქვაზე ყოველთა სალოცავად, ლუკა მოციქულის მიერ უძველეს ფიცარზე შექმნილი, მაცხოვრის სასწაულმოქმედი მზეხატი დაასვენეს, სადაც იმ ადგილზე მალე პირველი ქრისტიანული სამების სახელობის მცირე ბაზილიკა აშენდა.

ისტორიული სიმართლე, „ქართლის ცხოვრება“ იუწყება, ვახტანგ გორგასლის წინაპარმა წარმართმა მეფემ, დიდი ამალით გაილაშქრა უდანაშაულო ქრისტიანულ ეგრის-კოლხეთზე და მართლმადიდებლურ მოსახლეობას წმიდა ხატები გადაამალინესო (რაც არ გვიკვირს).

სიწმინდის გაჩენის დღიდან ღვთისნიერმა კოლხმა-ქართველებმა ოთხი მოციქულთაგანიდან ორის უპატიოსნესი ნეშტი, რომლებიც მზის სისტემის დროთა დაუთმობელმა დინებამ ფიზიკურად მოამწიფა და კეთილმხცოვანნი მიიცვალნენ, ვალმოხდილ-იმქვეყნიურნი მიწას მიაბარა და მარადისობის მშობლიური ნისლ-საბურველი გადააფარა, წმიდად მოვლენა სვიმონ კანანელს და კეთილ მატათას: ხოლო ყოვლისშემძლე მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა კი ფეხით ქრისტესმიერად შემოიარა ჭეშმარიტების მომლოდინე ქვეყანა და ვინ იცის, რამდენი ქალამანი გაცვითა, კოლხი კეთილი მეწაღეების მიერ ირმის ტყავისგან შეკერილი. მერმე კმაყოფილი და მადლიერი ზეციური შეგნებით დაუღლელი მასწავლებელი იბერიას და სხვა მეზობელ ქვეყნებს ეახლა, ყველა მათგანი წარმატებით გააქრისტიანა. მაცხოვრის უერთგულესი მიმდევარი სვიმონ კანანელი იმდენად ახლობელი და ღვიძლი გაუხდა კოლხ-იბერიელ ხალხს – თავისუფალ და უკვე ქრისტიან ქვეყანას, მარადიულ განსასვენებლად, როგორც მოგახსენეთ, მათი მითიური მიწა ირჩია, კერძოდ, ბიჭვინთის ზღვისპირეთი. იგივე ზეციური ბედი ეწია ერთგულ მატათას, რომლის საფლავი დრომ თუ ურჯულოთა შემოსევებმა პირისაგან მიწისა წაშალა, მაგრამ კოსმოსურ უკიდეგანო მეხსიერებაში, ქალაქ პეტრას ციხის და ირგვლივი წმიდა სამარხ-სანახები ნათლად მოიხილვება; ზოგან ფანტასტიურ ადგილმდებარეობას კოსმოსსასწაულმხილველები ციხეგოჯის მიდამოებსაც ამსგავსებენ. ღრმად მორწმუნემ და მოკრძალებულმა ბართლომემ, დაუღალავი შრომა-მეცადინეობით ყოველ მიყრუებულ მთის სოფელსაც ბეჯითად მიემასწავლებლა და თითქმის უკლებლივ მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მერმე აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას განმწმენდ-განმანათებლად ეწვია, სადაც უმოწყალოდ, ჭირშემყრელურად აწამეს. ყოველივე მათგან გაწეული ღვაწლ-შეწირვა უფლისმიერია და პლანეტაზე ჭეშმარიტად ჰუმანური რჯულის ზეიმ-გამარჯვებაა.

სამწუხაროდ, დიდი ქრისტიანული ქვეყნების დამპყრობლური უღვთო მოღალატური ხასიათიდან გამომდინარე, კოლხეთ-იბერიის ამ სახის რელიგიურ-სარწმუნოებრივ სიამაყე-ისტორიაზე თვალს ხუჭავენ.

ღვთიური ნატვრაა ამ ნაწარმოებში და ოცნება...

ზოგჯერ რა ძლიერი ყოფილა უსამართლობა და ბოროტება. ეს უკვე პირდაპირი მტრული მოქმედებით მაცხოვრის უარყოფა – ჭეშმარიტებისა და წმიდათაწმიდა რელიგიის უკეთური დამახინჯებაა. ნუთუ ღმერთის მაინც არ ეშინიათ, ან კოსმოსური ხელუხლებელი უბრძენესი განძთმეუფების. მაცხოვრის და თავისი უახლოესი მოწაფეების რეალურ ისტორიას ხომ ვერავინ და ვერავითარი უკეთური შური ეშმაკეული ვერაგობითაც ვერ ამოშლის წმიდად დაწერილი თუ დაუწერელი წიგნიდან.

ქრისტიანობის საზიანოდ სატანას ნუ ახარებთ, ბოროტზრახვებიანო ადამიანებო!.

პლანეტის ახალმა რელიგიამ პერიოდულად გაანადგურა უსასტიკესი წარმართობა და, სამწუხაროდ, მათგან შეუგნებლებმა იმ დროთა, შორეული უფლის, ზემოქმედებით შექმნილი ხელოვნების ნიმუშ-შედევრებიც მიაყოლეს.

რელიგიურად უძლიერეს იუდეველებს კი ვერაფრით ვერ გაეკარნენ, აქ რაღაც კოსმოსურ კანონ-წონასწორობასთან გვაქვს შეხებები. საუბედუროდ, წარმართობის მოშლას მოჰყვა ადამიანების დიდი მსხვერპლი, ალბათ დადგენილია სამყაროში ღვთიური სიახლე – დიადური, გარკვეულ თავდადებას მოითხოვს: ამას მგონი ვერც ერთი ზეძალა ვერ გაითვალისწინებდა კოლხეთ-იბერიაში კი, როგორც მოგახსენეთ, ყოველივე სასტიკი შეწირვები შედარებით ნაკლებად მოხდებოდა. ჭეშმარიტებამ უფრო იბერიის წარმართული ბოროტი კერპები დაამსხვრია და მათ ადგილას სიკეთის სიცოცხლის და სიყვარულის წმიდათაწმიდა ხეები აღმოაცენა.

დროთა დინებას შებერებული კაცობრიობის ცივილიზაცია საწყის ლეგენდა-ქალაქი აია, ფაზისი, დიოსკურია, ციხეგოჯი (არქეოპოლისი), პეტრა ჭყონდიდის საბრძანებელი, კოლხეთის რამდენიმე ქალაქი და სოფელი პირადად, ასევე თქვენგან მრავალთ, წარმოგვიდგენიათ კოლხეთ-იბერიის ქრისტიანული სარწმუნოების სათაყვანებელ უძველეს აკვნად, რომელთაც მოგვიანებით ქალაქი მცხეთა მზის ამოსვლასავით გულღიად შეეგება, მოციქულთა სწორის, წმიდა ნინო კაბადოკიელის მეოხებით და მარადიულ ქრისტიანულ სახელმწიფო სარწმუნოებად დაკანონდა, ერთ დროს ლეგენდარული მეფე აიეტის, ოქროს ვერძის საოცრება ასული მედეას მითოსურ-მისტერიული კოლხური მხარით და სრულიად საქართველო.

ჩვენს მარტოსულ, სიცოცხლით სავსე პლანეტაზე ექვს მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს: ხუთი მილიარდი, თუ მეტი არა, ქრისტიანი არ გახლავთ, რამდენიმე ათი მილიონი კი ათეისტია. სამწუხაროდ, მრავალათასეული ანტიქრისტე და სატანისტებია. ხოლო ნაღდი ქრისტიანები ვინც ვართ და სხვა უახლოესი აღმსარებლობის მრავალ უფლისმიერ ხალხს კბილებით და სიცოცხლის ფასად გვიკავია კაცთა შორის ჭეშმარიტება, სიყვარული და სიკეთის ზეცისგან განწმენდილი გრძნობები...

უსასრულო ოკეანიდან ხმელეთზე უმწეოდ გამორიყულივით, ბავშვობიდან ღრმად მორწმუნემ და ხატმწერმა წარმოსახვით მაინც რომ ვინატრო სიყვარულითა და სიკეთით სავსემ ვიოცნებო, რომ ზეუსასრულობის საუფლოს ლეგენდარულ კოლხეთ-იბერიაში მოევლინა ნათელი იესო. ამით რა სარწმუნოებრივი დანაშაულია დაშვებული? ყველაფერი ის წმიდა წიგნები, საღვთო წერილები, ლოცვები, სწავლებებიც ოდნავ ან საკმაოდ განსხვავებით შავი ზღვისპირეთში, ქალაქ აიაში, ფაზისში ან პეტრაში რომ დაწერილიყო, ხომ შეეძლო მათივე უსაზღვრო ზეციური ფანტაზია გავლენა ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ყოვლისშემძლე ზეციურ დასს. კოლხი ხალხი, მრავალი ათასი წლიდან მოყოლებული, უთუოდ ქვეცნობიერად მაცხოვრისეული თანდაყოლილი უძველესი რწმენით და სრულყოფილი ზნეობით ცხოვრობდა. ისე უბრალოდ და თვითდინებით არ შეიქმნებოდა ოქროს ვერძი და კოლხური ოქრომრავალი კულტურა-ცივილიზაცია... ჩვენ კი რატომღაც გვგონია ურყევ კანონად და დოგმებად ქცეული ყოველგვარი დღევანდელი რელიგიური აზროვნება კანონიკები რომ არა, თავზე დაგვექცევა ცა და მიწაო. რეალურად ასე ხომ არ გახლავთ! კოსმოსი მოწყობილი; ყოველგვარი ეჭვების გარეშე სამყარო აურაცხელი გალაქტიკებით შეუჩერებლივ მოძრავია და სიახლეებითი უსაზღვრო გარდაქმნებია, საერთო აზროვნებითაც მარად პროგრესულია და მისგან მაგნიტურად მოესხივება ყოველგვარი რელიგიური ზესიახლე-სწავლებები ადამიანთა ზნეობრივ წარმმართველი სულიერი ჰარმონია და ვარსკვლავეთური საოცრება საღვთო წერილისეული შეგონება. უზარმაზარი უსაზღვრო წარმოსახვებითი შემოქმედია თავად სამყარო, ვინ იცის, მართლაც მაცხოვრის მეორედ მოსვლა კოსმიურ გავლენა ულამაზეს მცხეთაში მოხდეს, ვარძიაში, უფლისციხეში, ზღვით განბანილ ფაზისში ან კავკასიის მთებისკენ მიმავალ მარტვილში და მხოლოდ ქართულ ენაზე იქადაგოს, მომავალი ათასწლეულების სიბრძნე, სიკეთე და სიყვარული. ჩვენ ხომ შორსა ვართ ამდაგვარ ზეციურ-ღვთიურ მოულოდნელობათაგან. ეს აუხდენელი ნატვრა? ჩემეული ლოცვაა თავად და, ნეტავიც კია ფრიად თავისებურებებით. უჩვენოდაც უსასრულობის ღმერთისთვის ყველაფერი წინასწარ ნათელია. საუბედუროდ, ადამიანში ჩასახულ ეშმაკეულ ბოროტად შობილ თვისებებს ხშირად და საბოლოოდ არაფერი არ ჯაბნის. ეს უკვე ცალკე ისევ კოსმიური მიუწვდომელი უღვთო მკაცრი ძალაა მარად უსაშველო და მეცნიერულადაც შეუსწავლელი. თქვენ, ჩემზე ძლიერნო, ჯობია მას მიხედოთ და ღვთისნიერად გაანელოთ უკუღმართული თვისებები, ვინემ ღრმად მორწმუნის კეთილ და ალალ ნატვრას, ალმაცერად უყურებდეთ, რათა ყოველივე ჩემეული ისევ მართალი ცისარტყელას პლანეტარიუმის ანარეკლი ფერებიდან მოედინება შეუდარებელი მზიური და კეთილმოსიყვარულე ზრახვებით. ვის ჰკითხეს ან ვინ უთანხმდება ადამიანებს, სად უნდა მომხდარიყო ღვთის მოვლინება. შესაძლოა, კოსმოსური უთვალავი მოძრაობა-ბრძოლა წინააღმდეგობების ტალღურმა ცვლილებებმა მაგ დროს შემთხვევით ისრაელში ჩამოიარა, მაგრამ (მართალია, რელიგიურ სწავლებათა ეტაპებთან კი გვაქვს საქმე, ოღონდ) შედეგი? მთლიანობაში გაოგნებულმა ადამიანებმა რაც კი ვიწვნიეთ ტანჯვა-წამებით სიკვდილის ყველა უსაშინლესი ფორმით, ისტორიულად სახეზეა; რასაც ჩაჟამულ ქარბორბალად მოჰყვა მომაკვდინებელი ჯვარცმა, წმიდანის (იოანეს) თავის კვეთა, ტანჯვა, პირადი და ხალხთა მასიური შეწირვები წარმართთაგან საშინელი დასჯები, მკვლელობები, ჟლეტა, ხოცვა, სარწმუნოებათა უთანხმოება, დევნა და ასეთ უბედურებას, საქვეყნოდ ბნელ ტრადიციად ქცეულს, ბოლო არ უჩანს. რათა? რატომ? რისთვის, საბოლოოდ რას ფიქრობს ქვეყნიერების პატრონი? ცნებების, ფანტაზიების, მომავლის ოცნებების და უფრო უხილაობის იქითაა, ყოველივე ადამიანის თანდაყოლილმა უმძიმესმა ბუნებამ ხომ არ გაამძაფრა ის მოვლენები, ზემოთ სულიერი ტკივილებით რომ შევეხე მარად შეუგუებელ ქვესკნელურ ჩვენეულ ხასიათს?

ველური ცხოვრების სინამდვილეში, დედამიწაზე თუ ქვეყნიერებაში, უთვალავი რამე ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და გონებრივი ჭეშმარიტებისაკენ სვლაში უმართავია. საუბედუროდ, მაგ უკეთურობებს სრულიად სხვა ბნელეთური ძალა განაგებს და, აქედან გამომდინარე, მრავალი ზეციურ-სტიქიურ-მომწამვლელი სულის სივრცობრივი ჟანგი ადამიანშიც მძლავრობს და საშინელ ბოროტმოქმედად აყალიბებს. რა თქმა უნდა, ისევ ზნეამღვრეული ვარსკვლავთა უარყოფითი მკვეთრი სხივები მოქმედებს და უკეთურთა ქსელს დღენიადაგ აძლიერებს. ბევრჯერ დამიწერია, რომ კეთილ და ავ პლანეტათა ქვეყნიური ქმედება, ჩვენდა საბედნიეროდ, უფლის კეთილი განგებლობითაა დამუხტული, რითაც მუდმივად გაწონასწორდებ-განიწმინდება კაცობრიობა...

ხოლო ნატრული მშვიდობიანი, მორჩილი, უფლისეული სულიერების გარემოცვაში აღვლენილი სარწმუნოება მარად პროგრესულ კეთილ და ურთიერთსიყვარულის გარემოცვაში იქნებოდა. ხალხთა, ეროვნებათა და მრავალ პიროვნებათა განადგურება-ხოცვა-ჟლეტვებს როგორც სრულიად საქრისტიანოში, ასევე ყველგან უთუოდ ავიცდენდით და არ დაიბადებოდნენ კულტურა-ცივილიზაციის და ხალხთა გამანადგურებელი, ბელადად წოდებული დემონები. ამ შემთხვევაში თბილისის ათი ათასი წმიდანის ისტორია ხომ ყელაფრის მთქმელია! რა თქმა უნდა, როგორც მოგახსენეთ, კოსმოსმაც დედამიწაზე თავისი უარყოფითი სხივებიც მრავლად ჩაყარა და უაზრო-უადგილო მარტვილობა ეშმაკეულ ტრადიციად იქცა... კოლხეთ-იბერიასა და საბერძნეთში, მაცხოვარს, შესაძლებელია, ას ოც წლამდე ან ბევრად მეტიც ღვთიური სვლა-დიდებით პლანეტის მანათობლად ეცხოვრა, მსოფლიოს უამრავი და ყოველგვარი წამყვანი რელიგიები ოცნება-კაცთმეგობრობაში მოექცია და მართლაც, უფალს ხელს ვერ შეუშლიდა ფუჭი ადამიანური დაუნდობელი ბოროტი ძალა და მორჩილ ნებად დაჰყვებოდა უზენაესის უკეთილშობილეს მიუწვდომლობას. ამჟამად?! თვალს ნუ ვხუჭავთ, კრიტიკულად განწყობილო საზოგადოებავ, და კარგად გადავხედოთ პლანეტის რელიგიურ მარად კონფლიქტურსა და ხშირად დამღუპველ ნერვიულ შავბნელ მოზაიკას.

უხსოვარი დროიდან ადამიანის უკეთურობა და ბოროტება ყველგან ყელაფერს მისწვდა და უკუნეთური კვალი დატოვა, მაგრამ ზეციურ ანგელოზებს ავი ქმედებით ვერასოდეს მიუახლოვდა: მხოლოდ გამუდმებითი თხოვნა-მუდარით და მორჩილებით იმედის თვალ-გონებით შესციმციმებს. გვიკვირს და ისმის კითხვა, რაშია მდგომარეობა? რათა კოსმოსურ უტეხ სულიერ იდუმალ უფლისეულ ზეენერგიულ ფენომენთან გვაქვს სიახლოვე, როგორც დედა მზესთან მიუდგომელ-მიუწვდომელია, ცოცხალი არსებანი, ასევეა ყოველთა მფარველ ანგელოზებთანაც, თავისი ვარსკვლავეთური განსხვავებული სულიერი თუ სივრცობრვი სიშორით. ამ ფორმის შეუძლებლობაზე მოკრძალებით წუთიერად მაინც ვიფიქროთ და ვითომდა მთავარანგელოზიც რომ განკაცებულიყო, მაშინვე წიოკით დაუპირისპირდებოდნენ უღვთო-უკუღმართად დაბადებულნი, საშინელი შურით, ბოღმით და ბოროტულ-მოღალატეობრივი ზრახვებით...

(გაგრძელება გვ. 6)

„ო, ენავ ჩემო“

სენაკის საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარებულ დედაენისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-მხატვრულ კომპოზიციაში „ო, ენავ ჩემო“ მონაწილეობა მიიღეს კერძო სკოლა „მაიას“ III კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი ლალი გოგიჩაიშვილი). მესამეკლასელებმა: ნიკოლოზ კანკიამ, დავით გეგენავამ, თამთა გოგიამ, დიმიტრი ბუგუნოვმა, ლუკა გერენავამ, შალვა ხუნწარიამ, გიგი კერძაიამ, მარიამ სახოკიამ, ანჟელა ჯიჯელავამ, ვიკა ხორავამ, გიორგი ვაშაკიძემ, საბა კაკაბაძემ, მაღალმხატვრულად წარმოთქვეს დედაენისადმი მიძღვნილი სტრიქონები. კომპოზიციაში მონაწილეობდნენ I საჯარო სკოლის რუსულენოვანი ჯგუფის მესამეკლასელები. სოფია სულეიმანოვა, ლენა სებისკვერაძე-მაზრაშვილი და III საჯარო სკოლის მოსწავლე ანუკი ჩოჩია.

კომპოზიციის მონაწილეებმა გამოხატეს მოკრძალება და სიყვარული უძველესი ქართული ენისადმი. ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებს და პედაგოგს მადლობა გადაუხადა საბავშვო ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ნინო გვასალიამ და წარმატებები უსურვა სწავლაში.

ჟ. ჩაჩიბაია

„მეფე გრავიტაცია და სამი ასული“

რა არის ფიზიკა?-განმარტებაში ვკითხულობთ: ფიზიკა არის საბუნებისმეტყველო მეცნიერება,რომელიც შეისწავლის ბუნების უმარტივეს და ამავე დროს ყველაზე უზოგადეს კანონზომიერებებს, იკვლევს მატერიის აგებულებასა და თვისებებს, სივრცესა და დროში მის მოძრაობის ზოგად ფორმებს.

რა ადგილი უჭირავს ფიზიკას ჩვენს ცხოვრებაში?-მიეძღვნა ქალაქის № 7 საჯარო სკოლაში(დირექტორი ბიძინა ტაბაღუა) გამართული მინი სპექტაკლი: ,,მეფე გრავიტაცია და სამი ასული". სპექტაკლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ავადმყოფმა მეფე გრავიტაციამ დაიბარა თავის ასულები: დრეკადობის ძალა, ხახუნის ძალა, სიმძიმის ძალა. მამა აუწყა ქალიშვილებს, რომ მძიმედ ავად იყო და ჭირდებოდა წამალი, მაგრამ ვერ ემეტებოდა ისინი შორს გასაშვებად. ქალიშვილებმა გადაწყვიტეს რომ რიგრიგობით შეეწყვიტათ მოქმედება და ისე გადაეწყვიტათ რომელი წავიდოდა წამლის მოსატანად. მაგრამ სამივე მათგანის უმოქმედებამ ქაოსი გამოიწვია სამეფოში. ყველანაირი საქმიანობა შეწყდა დრეკადობის, ხახუნის და სიმძიმის ძალების არ არსებობის გამო. ბავშვებს არ უსაუბრიათ ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის დაპირისპირებაზე. მათ თავიანთი სპექტაკლით გვიჩვენეს, რომ ფიზიკა ყველგანაა ჩვენს ცხოვრებაში და რამდენად სახალისო და საინტერესო შეიძლება გახდეს ცხოვრება, თუ კარგად ერკვევით ფიზიკაში.

სპექტაკლის შემდეგ მოსწავლეები მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგნენ მსმენელთა წინაშე, წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები.

ღონისძიების ხელმძღვანელები იყვნენ პედაგოგები ლია სიგუა და მზია ბარქაია. მუსიკალურ გააფორმა ლიკა ნარსიამ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: დათო ჯამბურია, სალომე ჯინორიძე, მარიამ ჟვანია, ანა საჯაია, გიგი ყურაშვილი, ცოტნე კაცია, ლიზი სანაია, ნიკა ნაროუშვილი, ზურაბ ძიძიგური, ლიანა სიჭინავა, დები ანი, მარიამ და ლიზი გნოლიძეები, დები მარი და ლანა სიჭინავები, ირაკლი კვირკველია, და-ძმა მათე და მარი ლაბარტყავები, ნინო ადამია. დათო ბერია, ზურაბ სიჭინავა, ლუკა სორდია. ანიტა სიმონიანი, ნიკა ხუხია და სხვები. აღსანიშნავია, რომ ქორეოგრაფიული ნომრები თვითონ მოსწავლეებმა დადგეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი ლ.გრიგოლია, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი ირმა კუპრეიშვილი, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები.

სკოლის დირექტორმა ბიძინა ტაბაღუამ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ხელმძღვანელებს, მოსწავლეებს საინტერესო სანახაობისათვის, მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის.

მ. გერგაია

ლექსები

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურისტის გიორგი გარუჩავას შემოქმედებას კარგად იცნობს მკითხველი. ნიჭიერი ახალგაზრდა გამოსაცემად ამზადებს ლექსების კრებულს, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი ლექსები, ჩანახატები.

მკითხველს ვთავაზობთ გიორგი გარუჩავას ლექსს „პარლამენტი". ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს ქართულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა პარლამენტის 100 წლის იუბილე.

პარლამენტი

აურ-ზაური, აქეთ ხმაური
და კინტაური,
ხანაც-ტრაური, ხანაც-ამური,
აქ ხურდავდება ბევრი შაური...
ერთმანეთს სიტყვას
ართმევენ კრძალვით
და ეპყრობიან ერთმანეთს მალვით,
ნიღაბს იდებენ სახეზე ფარვით,
ლაპარაკობენ ერთურთზე ჯავრით.
ფარული, ღია-კენჭისყრა ჰქვია,
იქ სპიკერატის ტრიბუნაც კია,
ნათელი, თეთრი კარები ღია,
კენჭი ეყრება პროექტებს მზიანს.
გამოსვლა მინდა,
სიტყვა მაქვს წმინდა,
ის კორექტული არის თავიდან,
სიტყვა უხეში, პასუხი ყელში,
კამათი მიდის, არის თარეში.
ასეთი არის წესი „კარავის“
აღარ უთმობენ სიტყვას არავის.
აქ - პოლემიკა, იქ კი - რეპლიკა,
არის საუბრის დიდი ტექნიკა,
აქ ორატორებს უყრიათ ჯავრი,
მათზე სოფისტებს უდვიათ თავი.
სად არის სიტყვის მთელი ლაფეტი?-
მას ეწოდება თვით პარლამენტი,
თან აქვს პოლუსი მუდმივად ორი -
პოზიცია და ოპოზიცია,
ერთმანეთისთვის უჭირავთ ტორი,
სხვა ყველაფერი არის ფიქცია,
ასეთი არის პარლამენტარი,
არ არის საქმე ისე ნეტარი,
როგორც გვგონია
რიგით მოკვდავებს,
ისინიც მუდამ კრძალვით შფოთავენ;
ეს ორგანოა კანონისმქმნელი
და წესდებების მუდმივად მთლელი,
ის ჩვენ გვიწესებს
ცხოვრების წესებს,
თანაც გვიჩვენებს
მუდმივად რელსებს.
მას რომაული მოსდგამს ფესვები,
სულ უგალობდნენ ძველი ბერძნები,
დღეს არის ყველგან წამყვანი ძალა,
რესპუბლიკისთვის საშენმასალა.
მისგან იქმნება ადამის ნება,
კანონპროექტში ასახვა ხდება,
ის აკონტროლებს მონარქებს
„მზიანს“
და აბალანსებს უფლებებს ღიად.
ამ ორგანოში ვმუშაობ ბედად,
მადლობელი ვარ, დღეს თქვენ რომ
გხედავთ,
კმაყოფილი ვარ მე ამ ნეტარის,
მებოძა ხვედრი პარლამენტარის.

გიორგი გარუჩავა
2014წ

შენ და გვირილები

ნეტავ რა მჭირს
რაღაც ხდება,
გვირილები მეკარგება
გვირილა ხომ ჩვენი გულის
სიყვარულად გვესახება,
ესტაფეტად მოდის დარდი
სევდა ქარში იმალება -
ბრწყინავს შორით თეთრი ვარდი
და გვირილა მენანება.
ნეტავ სად ხარ, ახლა კარგო,
ვინ გიყვება ზღაპრულ ამბებს
ვინ გეყტვის, რომ გვირილები
ვარდზე კარგად იხატება
ვინღა გეტყვის ყვითელგულა
გვირილები მენატრება
და მსურს სადმე დავიკარგო
სადაც გვირილა დამხვდება
ვინღა გეტყვის, რომ გვირილა
არის სევდა, უფრო ნაზი
ვიდრე შენი მონატრება, თუმცა ესეც ამად კარგი
ჩემმა გულის გვირილებმა, მოიწონეს შენი დარდი.
შენი გული მოიწონეს და მეც ასე შემიყვარდი.
ახლა გვირილები ჭკნება და
შენც ალბათ ასე გაქრი.
ნუღარ იტყვი გვირილაზე,
რომ ის არის დიდი დარდი,
გრჩება მხოლოდ თეთრი ვარდი
გაიხსენე, რომ მიყვარდი,
გაიხსენე ყვითელგულა
უნაზესი გვირილები
გაიხსენე, რომ მეც ასე,
სწორედ ასე შემიყვარდი.

მარიამ კილასონია-გოგინავა

გოდება და ვედრება ყოველთა

(გაგრძელება)

ვაჟა-ფშაველას ხევსურეთისეული საკვირველი გამონათქვამია: გველს დაუჩივლია, კბენა ადამიანმა მასწავლაო... (ერთ-ერთმა განაწყენებულმა მისტიკოსმა საშინელება ბრძანა თურმე, სატანა ადამიანის ტყუპისცალიაო!!)

რა არის ადამიანი? ღმერთის ტრაგედია მორგენშტერნი: ნათელი რეალობაა.

უძველესი რელიგიებიდან, უფრო წარმართობიდან, მოყოლებული, დედამიწაზე, სამწუხაროდ, ადამიანებთან ერთად ღმერთებიც დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს: გადის მნიშვნელოვანი საუკუნეები და გონებრივ-ზნეობრივი წინსვლის მაგიერ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ახალი და ძველი რელიგიები უფრო დაუპირისპირდა ურთიერთს. აღმაშფოთებელ ღვთიურთაგან ისმის კითხვა, საიდან იბადება ამდაგვარი უთანასწორო საშინელებაო?! ჯიუტი ფაქტია, რომ ყოველივე ადამიანის უმძიმესი და უნდო ბუნებიდან მომდინარეობს. ადამის მოდგმის გადამრჩენელად უსასრულობიდან ებოძა მას წმიდა უფლისმიერობა, მაგრამ თავისი შეუთავსებელი ხასიათ-თვისება ყველგან ბოლომდე ბნელ ფორმად ჩადო. თანვე სრული მიწიერი კაცთა არსება ხომ მარადიულ წვალებაშია და ცხოვრებისეული უმკაცრესი გამოცდაა. ამდაგვარი არსებობიდანაც გამოუმუშავდა მწარე საპირისპირო თვისებები.

ადამიანი რომ ბოროტია, ამაშია ჩემი ნუგეში, რადგან ის ძალას წარმოშობს. ნიცშე. უთუოდ დიდ ნებასაც მოაბრძანებს, მაგრამ... საკვირველ და უმნიშვნელოვანეს ვარსკვლავეთურ მოვლენა მოძრაობათა გაქრობა-აღდგენა თუა სამყაროს სივრცეში, მაშინ საოცარი საწყისი, შუა და ბოლოცაა მისი; აგრეთვე მარადიული ფენომენალური საიდუმლო ხაზიც არსებობს უკიდეგანობაში, რომელსაც დაწყება-დასასრული არ გააჩნია. ჩვენ უთუოდ სივრცობრივი იმ გზა ელემენტ-ხაზთ მოძრაობის მავალნი ვართ, რა თქმა უნდა, აზროვნების, სულიერი და შინაგანი განწყობილების სხვადასხვა სფეროთი. ამქვეყნიური ცხოვრება თითქოსდა მიწიერი თვისებებითაა შემოფარგლული და იქვე ჩამაფიქრებლად ცხოველურ-ფიზიოლოგიური პირდაპირი თანხმობით, ფიზიკურად მრავალი ბუნებრივი თვისებებიდან გამომდინარე; ხოლო შემდეგი სხვა იდუმალი, სულიერ-ფსიქოლოგიური საფეხურები ურთულესია და მის წინაშე ნებისმიერთა რეალური შეგონებები უსუსურია... პიროვნება – ადამიანი, უწყვეტად მოდის სივრცის მიუწვდომელი მდიდარ-უკვდავი უჯრედოვანი საგანძურიდან და შეუწყვეტლივ გადის ზეცის სავსეობის გაგრძელების უსასრულობაში. რატომღაც ბევრს ჰგონია, ყოველივე ჩვენეული მხოლოდ მიწიერი პროცესიაო. აგრე რომ არაა, მეგობრებო (ფაქტია, კოსმოსური ინსტინქტი, სიმართლესთან ბინადრობს), რათა, თვით დედამიწა, ქვეყნიერების უმცირესი შემადგენელი მორჩილი კონტაქტ-პლანეტათაგანია. ხოლო ადამიანის მთლიანი ფსიქო-სულიერი გონ-გულის გამოუკვლევი სირთულეები იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივად პირადული გაუცხოებული თავის მეობის ძიებაშია, აქვე რაც მთავარია, ყოველთა მხსნელი და მიუწვდომელი ღმერთისა: ოდითგანვე იმიტომაც დაიწყო ადამიანმა უფლისკენ მოუსვენარი ლტოლვა, ქვეყნიურთან ერთად პირადი, ყოველგვარი სულიერ-გონებრივი განზომილებებით. თითქოსდა ხილული ნაწილობრივ დაემორჩილებინა მას, მაგრამ უკლებლივ მათგანს თურმე გარემოსგან უამრავი პირობები და ყველაფერი ზედმეტადაც სჭირდება, დღენიადაგ ეძებს, უკმაყოფილოა მუდამ, აღუსებელია, ქმნის, იგონებს სიახლეებს, იბრძვის, ბოროტობს, სულ კონფლიქტშია და იწვის. საბოლოოდ თავისი შინაგანი უმთავრესი ბუნება როგორმე ერთობ უნდა შეიცნოს, დაიურვოს, მაგრამ ისმის კითხვა: აგრე რატომ უჭირს – ეძნელება ყველაფერი და წამებაშია?.. უეჭველად მასში მისი გაჩენის და არსებობის შეუცნობადი უფლის მიუწვდომელი და ურთულესი ფენომენია ჩასახული. ან, შესაძლოა, რომ ის, თავად იყოს ყოველივეს და ყველაფრის საწყისი, (ზოგჯერ კითხვასაც ვსვამ: – სატანა ადამიანით ხომ არ გაჩნდა?!) კოსმოსურ უწყვეტ სხივ-მაგნიტს დაქვემდებარებუ-ლი, ანუ სამყაროს სიმბოლური უიშვიათესი მეტეორული მუქი ლურჯი ქვისგან გამოჩორკნილი სიცოცხლის თასისმიერი (რაზეც მე ხშირად ვსაუბრობ).

მილიონობით და ათასწლეულთა დაგროვილი, მაღალგონიერი აზროვნება დასჭირდა ადამის მოდგმას, ბიბლია – წიგნ-შედევრი რომ შეექმნა; ებრაელთა უძლიერესი თორა და შესანიშნავ-ნააზრევი ყურანი. აგრეთვე სივრცობრივი სულთ ჰარმონია ბუდისტური მოძღვრებისა. სიყვარულის, სიკეთის და ჭეშმარიტება-ზნეობის დროშა „ახალი აღთქმა“ და, კიდევ რამდენიმე შედარებით მცირე, მაგრამ ნათელ-თეორიული სწავლა-ქადაგებანი და ამათგან იშვა საოცრება განძთსიმდიდრე ვარსკვლავებით მოვარაყებული ღვთიური წიგნები, ურთულესი მიწიერ-ზეციური ზნეობრივ ჭეშმარიტებათა გამოხატვისა. კოსმოსური უზარმაზარი მომავლის ადამიანებს ისევ ათასეული წლები დასჭირდება, მათივე დროების სრულყოფილი რელიგიური სიახლეების მოსვლის ლოდინში, რის შემდეგ გაუმთლიანდება უფლის, ურთულესისეული შეუსწავლელი სულის და სრულიად უცხო ზეციურ ახლად აღმოჩენილ უხილავ სამყაროს, ანუ უთვალავ გალაქტიკათა მარად ურღვევ ჰარმონიულ ანსამბლს. ამ სახის შორეული მომავლის გარდაუვალი საღვთო სწავლებანი უფრო კეთილ განსხვავებული იქნება ამჟამინდელ მყარად არსებულთან შედარებით. ხოლო უბრძენესი „ათი მცნებიდან“ დაწყებული წმიდათაწმიდა უამრავი ჭეშმარიტებანი მიმდინარე ტოტებდახუნძლული ათასწლეულისა, ოქროს მოქნილი ზამბარასავით გაჰყვება სამარადისოდ უკიდურესად განსხვავებული სიახლე რელიგიური მოძღვრებების; ასევე აურაცხელ წელთა მერმეც, ნებისმიერ ახლად გამოცხადებულ სამყაროსეულ სარწმუნოებრივ ჰარმონიას, ოდნავ გაუმჯობესებული ფორმით გაჰყვება მცნება „გიყვარდეს მტერი შენი“... „რათა არ იციან რასა იქმნიან“. მარადიული და უზარმაზარი კოსმოსური ფილოდოფიაა მზის სხივივით ნათელი... დიახ! მომავლის საუკუნეები და ათასწლეულები, უფლისეულ ამოუწურავ გენიათა საოცრება ქმნილებების ჭეშმარიტ და თვითმყოფად წმიდა რელიგიების ეპოქათა ღაღადი იქნება, პლანეტის უმთავრეს და სრულიად სიახლე აღმსარებლობათა გვერდით...

ადვილად შესაძლებელია, მომავალში სიტყვა ტერმინ-განმარტება რელიგიური, შეიცვალოს მოსული მცნება, კოსმოსური მოძღვრებებით, რათა აწ მომდინარე უსასრულობის ათასწლეულები სამყაროსეული დაუსრულებელი და მრავალმხრივი ვარსკვლავეთური ფორმა-ძიებებით იქნება სავსე...

წუთით წარმოვიდგინოთ, ადამიანი რომ არ არსებობდეს ჩვენს პლანეტაზე, თავისი მრავალი ხასიათ-ურთულესი ფსიქოლოგიით რა სახ-ზნეობის და შინაარსის იქნებოდა გაძარცული დედამიწა? უფალი ქვეყნიერების მიმართეევაში ზეენარული ძალა ფუნქციებით როგორ იმოქმედებდა, ამ თემაზე მიახლოებითი გააზრებაც კი ძნელია. სრულიად სიმართლით ვამართლებ ბრძენ მეცნიერს, რათა „ადამიანი ციდან ჩამოგდებული ღმერთიაო“. აგრეთვე სიღრმისეულად რომ გვმოძღვრავენ, „ადამიანს ზეცა ახსოვსო“, მაგრამ მას დროულად მიწა ულამაზესი კეთილი, წყალი, ჰაერი და აურაცხელი ცოცხალი არსებანი დახვდა. რა თქმა უნდა, ის თავიდანვე ზეციური სრულყოფილებით ვერ ეწვეოდა დედამიწას და გარდაუვალი ევოლუციური განვითარებაც ბუნებასთან სიახლოვით თანადროულად მიიღო, მგრამ, როგორც თავის დროზე მოგახსენეთ, ზეციდან უმთავრესი ვარსკვლავების კეთილი და უხიაგი თვისებები უკლებლივ ჩამოჰყვა, მათგან უმთავრესი სიყვარული და ბოროტქმედებიანობა. დედამიწაზე ღმერთი და ადამიანი ერთად გამოჩნდა და სამარადისოდ დამკვიდრდა, მაგრამ კაცთა მოდგმა, თავისი ბრმა და გონებრივი სისუტეებიდან გამომდინარე, მარადიულად დაეძებს თავის გვერდით მყოფ უფალს და ხშირად ღალატობს კიდევაც. დადგენილი ვერსიაა, როგორც ხშირად ვწერ, მხოლოდ სამყაროს ახალმა უკეთილშობილესმა დინება-ნაკადმა უნდა უშველოს მათ... უფლისმიერად ძირფესვიანად გააძლიეროს და თავადვე გააწმენდინოს თავისი კუთვნილი მხოლოდ სულიერი გარემო წმიდათაწმიდა ზნეობრივი ფორმიდან დაწყებული, თუ არადა, დედამიწაზე ადმაიანის ტანჯვა-წამებას დასასრული არ ექნება.

(გაგრძელება იხილეთ მომდევნო ნომერში)

კალისტრატე შარტავა



ნლები, როგორც წესი თვის სახელს არქმევს ხოლმე ადამიანთა ნაღვაწს. ბატონი კალისტრატე შარტავას პიროვნებისადმი დროის ეს შეფასება კი უტყუარი და უკამათოა, მის მიერ განვლილი გზა ჭეშმარიტი მაგალითია უდიდესი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა.

ცხოვრების გადასახედიდან ბატონმა კალემ ქალბატონ ფენიასთან ერთად განვლო ბედნიერებითა და ქარტეხილებით აღსავსე გზა და ცხოვრების ორომტრიალში მრავალგზის დაამტკიცეს სულის სიძლიერე. ცნობილია წლების მანძილზე ჟიულისა და სოსოს მშობლები თუ როგორ ტკივილს ატარებდნენ ღირსეულად, ისე როგორც შარტავების დიდ ოჯახს შეეფერებოდა.

აპრილის თვეში წავიდა ჩვენგან ბატონი კალე. 10 წელი გავიდა მას შემდეგ. მან კაცურად იცხოვრა და კაცურადვე განერიდა წუთისოფელს, უსაზღვრო ტკივილი და მარადიული ხსოვნა გაიყოლა თან.

მუზეუმის თანამშრომლები ხშირად ვიგონებთ ჭარმაგ ხელმძღვანელთან გატარებულ წლებს ყველა ღირსებით შემკულ პიროვნებას, სამაგალითო ქართველს, ღვაწლმოსილ და ამაგდარ მოქალაქეს...

ჩემთვის განსაკუთრებული პატივი იყო წლების განმავლობაში ბატონი კალეს გვერდით ყოფნა.. მადლიერებით ვიხსენებ განვლილ წლებს და შორიდან იმიერ საუფლოში კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას. დღეისთვის მისი მონატრებით არსებულ სიცარიელეს მივსებს ქალბატონებთან ცისანასთან, ლია და ნუნუკასთან, რატი და ლაშასთნ სიახლოვე.

კაცურკაცობისათვის, მოფერებისათვის, ყველაფრისათვის გმადლობთ ერის კაცო — ბატონო კალისტრატევ!

აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში სამუშაო დღე დაიწყო წუთიერი დუმილით. თანამშრომლებმა სანთლები დაუნთეს ბატონი კალეს ხსოვნას, გაიხსენეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორთან გატარებული ნლები.

საგანმანათლებლო რესურსცენტრში შეკრებილებთან ქალბატონმა დარეჯან ზარანდიამ მოიგონა ყველა ღირსებით შემკული პიროვნება, რომელიც ნლების განმავლობაში სათავეში ედგა რაიონის განათლების სისტემას.

ღვაწლმოსილი პიროვნება – ასეთად გაიხსენეს ბატონი კალე მეშვიდე საჯარო სკოლაში მისივე სახელობის კლას-კაბინეტში შეკრებილებმა, რომელიც ნლები ალამაზებდა სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სენაკის საკათედრო ტაძარში დეკანოზმა მამა იოანემ (კუპრეიშვილმა) აღავლინა კალისტრატე შარტავასა და მისი ოჯახის გარდაცვლილი წევრების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

მარინე აბრამია

კირილე ადამია

60 წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ ნლებმა ვერაფერი დააკლო შენს სახელს, რადგან შენ შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრე. შენ იბრძოდი კაცობრიობის უდიდესი სენის -- ფაშიზმის წინააღმდეგ. დაჯილდოებული იყავი მთავრობის ჯილდოებით: წითელი დროშის ორი ორდენით, პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენით, მედლით „მამაცობისთვის“, მედლით კავკასიის დაცვისათვის, მედლით ქერჩის დაცვისთვის. წარდგენილი იყავი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე. ომგადახდილი მრავალი ჭრილობით დაუბრუნდი მშობლიურ რაიონს, შექმენი ოჯახი, ჩაები საზოგადოებრივ ფერხულში, იყავი ღირსეული მოქალაქე, მეუღლე, მამა. ისე წახვედი ამ ქვეყნიდან ბევრი განუხორციელებელი მიზანი გაგყვა თან, მაგრამ შენმა ღირსეულმა და ერთგულმა მეუღლემ თათუშამ მულების ნატალიასა და მარიას დახმარებით ყველაფერი შეძლო და გააკეთა. შენმა ხუთივე შვილმა მივიღეთ უმაღლესი განათლება. ორმა სადოქტორო დაიცვა. ჩვენი ცხოვრების დევიზი იყო, არის და იქნება: შენი სახელით არასდროს გვესარგებლა, პირიქით ჩვენი საქმიანობით შენი სახელი გვედიდება, რაც შევძელით და რასაც შენი შვილიშვილები აგრძელებენ.

ოთხი ქალიშვილის მამას შენი მეხუთე შვილი – ვაჟი არ გინახავს.

ძვირფასო მშობლებო! მშვიდად და უშფოთველად განისვენეთ ცათა სასუფეველში, რადგან თქვენ კეთილ სულებს თქვენი შთამომავლები არ შევაშფოთებთ.

ლუნა, ლიანა, ლეილა, ლამარა და თემურ ადამიები ოჯახებით.

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იოსებ ელიავას დედის

ფუშუტა ტყებუჩავა-ელიავას

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის № 56/7-17

გაზეთი პომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა

შპს „ხომლი ენ“

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.

ტელ: 223779; 223711; 223499.